სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/57

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის №01-05-04/167 დადგენილების, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის №9 ოქმის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტების საბჭოს სხდომის №10 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული ცენტრი და ჩამოყალიბდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით ერთეულად.
2. დამტკიცდეს - აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრის დებულება.
3. შეტანილი იქნეს ცვლილება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში და დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

4. შეტანილი იქნეს ცვლილება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დებულებაში და დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „დ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„დ) აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრი.".

5. აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები აისახოს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში.

6. დადგენილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 ნოემბრიდან.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**